საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ტურიზმის ფაკულტეტის

საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი №1

ქ. ბათუმი 22 ივლისი, 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო კომისიის წევრები:

1. მღებრიშვილი ბაბულია, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი -კომისიის თავმჯდომარე
2. ყორღანაშვილი ლარისა, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი
3. ცინცაძე ასიე, ბსუ-ს პროფესორი
4. ბერიძე როსტომ, ბსუ-ს პროფესორი--მდივანი

სხდომას ესწრებოდნენ ასევე: საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე მერაბ დიასამიძე და კონკურსის სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრი, კანცელარიის უფროსი ხათუნა ხალვაში.

დღის წესრიგი:

1. *,,ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 01-08/64 ბრძანების საფუძველზე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი* საკონკურსო დოკუმენტაციის / ბაინდერების და ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენილი ინფორმაციის მიღება-ჩაბარება საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის მერაბ დიასამიძისა და სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრის, კანცელარიის უფროსის ხათუნა ხალვაშისაგან.
2. *,,ბსუ-საკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 01-08/64ბრძანების საფუძველზე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი* საკონკურსო მასალის - კონკურსანტების განცხადებების, კონკურსანტების ანკეტებისა და სხვა დოკუმენტაციის სისრულის შემოწმება (კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობის დადგენა).

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი:

საპროცედურო კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ დიასამიძემ განმარტა, რომ *,,ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 01-08/64 ბრძანებით* კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების მიღების ვადა განისაზღვრა 2018 წლის 16 ივლისიდან 20 ივლისის 16 სთ-მდე. საპროცედურო კომისიაში 128 ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად სულ შემოვიდა141 განცხადება, მათ შორის ტურიზმის ფაკულტეტის 4 (ოთხი) ვაკანტურ თანამდებობაზე შემოვიდა 6 (ექვსი) კონკურსანტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია. ეს დოკუმენტაცია მატერიალური სახით მიღებული იქნა მას შემდეგ, როცა სამუშაო ჯგუფის წევრის ხათუნა ხალვაშისა და საპროცედურო კომისიის დოკუმენტაციის უშუალო მიმღები წევრის მიერ დადასტურდა იმავე საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღების ფაქტი. ინფორმაცია საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების დასრულების შემდეგ გამოქვეყნდა ბსუ-ს ვებგვერდზე, კონკურსების ველში.

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების თანახმად, საპროცედურო კომისია და სამუშაო ჯგუფის წევრი, რომელიც იღებს ელექტრონულ მასალას, ვალდებულია კონკურსანტების საკონკურსო დოკუმენტაცია გადასცეს საკონკურსო კომისიას.

საკონკურსო კომისიის წევრებმა ერთხმად, ღია კენჭისყრით დაადგინეს:

1. საპროცედურო კომისიის ინფორმაცია მიღებული იქნეს ცნობად, საკონკურსო კომისიამ (თავმჯდომარის/მდივნის ხელმოწერით) მიიღოს საკონკურსო დოკუმენტაცია და ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენილი მასალა მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. საკონკურსო კომისიამ ასევე ჩაიბაროს კონკუსანტების მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრის, კანცელარიის უფროსის ხათუნა ხალვაშისაგან და გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი (აღნიშნული აქტები დაერთოს წინამდებარე ოქმს).

მოისმინეს დღის წესრიგის მე-2 საკითხი:

2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ ასოცირებულმა პროფესორმა ბაბულია მღებრიშვილმა აღნიშნა, რომ კონკურსანტების დოკუმენტების გახსნის შემდეგ დადგინდა მათი სისრულე და და კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობა.

კომისიის წევრებმა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტების განხილვის შემდეგ ერთხმად, ღია კენჭისყრით **დაადგინეს:**

1.,,*ბსუ-საკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 01-08/64 ბრძანების საფუძველზე - ტურიზმის ფაკულტეტის 4(ოთხი) ვაკანტური აკადემიური თანამდებობის*

დასაკავებლად წარმოდგენილი საკონკურსო განცხადებებისა და დოკუმენტაციის, პირველადი განხილვის საფუძველზე დადგინდა:

შესაბამისობაშია კონკურსის ძირითად პირობებთან შემდეგი კონკურსანტების საკონკურსო დოკუმენტაცია:
1.ეკატერინე ბახტაძე
2. პაატა ჩაგანავა
3. ვახტანგ მიქაშავიძე
4.ნინო დევაძე
5.სალომე სულაბერიძე
6. კობა ჯუმუშაძე.

2. წინამდებარე გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (გადაიგზავნოს ინფორმაცია ელექტრონული მისამართზე: web@bsu.edu.ge).
3. მომდევნოს სხდომაზე მოხდეს კონკურსანტების შეფასება და შევსებული იქნეს *თითოეულ კონკურსანტზე ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისისN04 გადაწყვეტილების დანართი N4 (კონკურსანტის შეფასების ფორმა.)*

საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარე, ასოც. პროფესორი **ბ.მღებრიშვილი**

მდივანი, პროფესორი **რ.ბერიძე**